1986 იანვარი № 1

ISSN 0132-5965

ბავშვი

572
1986

572
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ნაძვის ხე

მორის ფოცხიშვილი

საქართველოს სადიდებლად

ნამვის ხეზე ჩიტი ჯდება,
ოქროს ნისკარტს ძაღლა სწევს,—
საქართველოს სადიდებლად
მრავალ, მრავალ ახალ წელს!
გული ჩემი სიხარულით,
რა თქმა უნდა, ახლაც მგერს,
მშვიდობა და სიხარული
მრავალ, მრავალ ახალ წელს!

გივი ძნელაძე

დღესასწაულს მოგილოცავთ!..

ჩემო მტრედო!
მართალია
ზამთარია,
შენ ეინვებშიც არ გჩვევია ღალატი;
შეფართქალდი „დილაში“ და ნამეისხეზე
ჩამოკიდე ეს ჰაწია ბარათი:
„თამრიკოსაც,
თალიკოსაც,
გოგილოსაც,—
ვისაც ვხედავთ ამ ჩახჩახა სცენაზე,—
ქველას,
ქველას,
დღესასწაულს მოგილოცავთ!
სიყვარულით—
თქვენი გივი ძნელაძე“.

ზურაბ კუხიანიძე

ადიოდეთ მაღლა ცამდე

თქვენს გულს დარდი არ კაწრავდეს,
სიკეთე და გარჯა გწამდეთ,
საქართველოს ბაღნარს რწყავდეთ
ახალ წლიდან ახალ წლამდე.
მისთვის ხნავდეთ და ფარცხავდეთ
ადიოდეთ მაღლა ცამდე,
მისთვის გვირგვინს ლაღად წნავდეთ
ახალ წლიდან ახალ წლამდე.

ნაზი კილასონია

18207

მშვიდობის მზე

მშვიდობის მზე ამობრწყინდა,
ქველას გულში გამობრწყინდა,
აკისკისდა ქველა ბავშვი:
დე, ვიცხოვროთ მშვიდობაში!

ტარიელ ფანტურია

საახალწლო

დასრულდა ძველი წელი და
დადგა ახალი წელი!
კარგად მოვიდა ახალი,
კარგად წავიდა ძველი!
გაჩაღდა გაცვლა-გამოცვლა
შოკოლადების ფილის.
ჩახჩახა სინათლეები
გადაეფარა თბილისს.
ოთხმოცდაექვსში ჰირველად
ეინც მიაშურებს სკოლას,
სულ გახარებას ვუსურვებ,
სულ ფრიადების ეოლას!

გაჩაღდა გაცვლა-გამოცვლა
„ჰიტნის“ და კარამელის,
— მომილოცნია, დაიკო,
შენთვის ახალი წელი!
გაჩაღდა გაცვლა-გამოცვლა
„ნუშის“ და „კოწახურის“,
რა კარგად მღერის ეს ბიჭი,
მოდით, დავუგდოთ ეური!
„ახალი წელი მობრძანდა—
ცხრაას ოთხმოცდაექვსი!
არ მოგკლებოდეს, სამშობლოვ,
ცეკვა, სიმღერა, ლექსი!“

ხატვარი ბესო ხიდაშელი

მზია ხეთაგური

მზე და მზეჭაბუკი, ანუ საახალწლო საჩუქარი

— დილა მშვიდობისა, ცრუპენტელა! — თვალი გაახილა თუ არა, მზემ შემოსცინა მზეჭაბუკს. — დილა მშვიდობისა! — გაულიმა მზეჭაბუკმა მზეს და უცებ სახე მოეღრუბლა: — ცრუპენტელა რისთვის შემარქვი?

— განა შენ არ ცრუპენტელობდი გუშინ მასწავლებელთან: საშინაო დავალება დავწერე და შინ დამრჩაო? დედა კი მოატყუე — საშინაო დავალება მასწავლებელს დღეისთვის არ მოუციაო.

— შენ ეგ საიდან იცი? — გულწრფელად გაუკვირდა მზეჭაბუკს.

— მე ყველაფერი ვიცი, იმიტომ, რომ ყველაფერს ვხედავ.

—ყველაფერს? — ეჭვი შეეპარა მზეჭაბუკს — მაშინ აბა მითხარი, რას აკეთებს ახლა ჩემი მასწავლებელი?

მზე ფეხისწვერებზე აიწია და ჩამოიწია.

— პირს იბანს შენი მასწავლებელი, სკოლაში წასასვლელად ემზადება.

დედაჩემი რაღას აკეთებს?

— სამზარეულოშია და საუზმეს გიმზადებს.

— მამაჩემი?

— მაღაზიაშია და რძეს ყიდულობს.

— მე ერთი საიდუმლო მაქვს, — თქვა უცებ მზეჭაბუკმა, — ჰოდა, თუკი ყველაფერს ხედავ, მაშინ ჩემი საიდუმლოც უნდა დაინახო.

—საიდუმლოს არ ხედავენ. საიდუმლოს ადამიანები ერთმანეთს ანდობენ. შენ კი ჩემთვის არ გითქვამს შენი საიდუმლო, — უპასუხა მზემ.

— კარგი. შენ გეტყვი; ოღონდ არავის უთხრა, კარგი?

— კარგი.

— არც ღრუბლებს უთხრა, არც წვიმას, არც ქარს. კარგი?

— არავის ვეტყვი. აბა, დაიწყე.

— ვიწყებ: სულაც არ მინდა სკოლაში სიარული, მეზარება, და საერთოდ, სწავლა არ მიყვარს.

მზემ გაოცებისაგან პირი დააღო და სხივები გაშალა:

—რაო?! როგორ შეიძლება მოსწავლეს სკოლა არ უყვარდეს!

— შეიძლება. — ამოიოხრა მზეჭაბუკმა. — მარტო სკოლა კი არა, მასწავლებელიც არ მიყვარს, მეჯავრება.

მზე გაჩუმდა. ძალიან დაღონდა და ფერი დაკარგა.

— რა დაგემართა, რატომ აღარ მცხუნვარებ? — შესცივდა მზეჭაბუკს.

— შემოდგომა იწურება, ჰოდა ჩემი სხივები ისე ძლიერ ვეღარ ათბობენ მიდამოს. — უპასუხა ფიქრებში წასულმა მზემ.

— ჰო, საცაა ზამთარი თავს დაგვიკრავს. — დაეთანხმა მზეჭაბუკი.

— ზამთარი მოვა და წავა. მაგრამ შენ რა გეშველება? — წუხდა მზე.

—იქნებ შენ მიშველო, მზეო! მოიფიქრე რამე.

მზემ შუბლი შეჭმუხნა, მერე გახსნა და ფეხბურთის კომენტატორივით შესძახა:

— არის! მოვიფიქრე! მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ ახალ წლამდე სკოლაში იარე. ეცა-

დე, ძალიან კარგად ისწავლო, მასწავლებელს დაუჯერო, არ დააგვიანო, არ გააცდინო, არ იცუღლუტო, არ იცრუპენტელო...

— მერე, მერე? — მოუთმენლად ჰკითხა მზეჭაბუკმა.

— მერე მოვა ახალი, 1986 წელი და, მორჩა, საახალწლო არდადეგების შემდეგ სკოლაში აღარ მიხვიდე.

— მერე დედ-მამა რას მეტყვის, ხომ მეჩხუბებიან!

— არაფერსაც არ გეტყვიან. ეგ ჩემზე იყოს.

— როგორ, სულ არაფერს მეტყვიან და ნებას დამრთავენ, სკოლაში არ ვიარო? — ძალიან გაუკვირდა მზეჭაბუკს, — ეს ხომ... სასწაულია!

—ახალი წელი რომ გადაივლის, მოგინახულებ. მეც მაქვს ჩემი საიდუმლო, რომელიც სასწაულებს ახდენს. სწორედ ეს სასწაული იქნება ჩემგან მოძღვნილი საახალწლო საჩუქარი.

—ვაშაა! — შესძახა გახარებულმა მზეჭაბუკმა და ლოგინიდან წამოხტა, ფრთაშესხმული შევარდა სააბაზანოში, იქიდან სამზარეულოში გამოვარდა და მამის მოტანილი რძე სულმოუთქმელად დაცალა. მერე ჩანთაში წიგნები ჩააწყო, თმა კოხტად გადაივარცხნა და ვიდრე გაოცებული დედ-მამა რამეს ეტყოდა, სკოლისაკენ მოკურცხლა.

ნეტავი გენახათ, რა მონდომებით შეუდგა სწავლას მზეჭაბუკი! დღე არ გავიდოდა, ყველა გაკვეთილი გულდასმით არ ესწავლა, ყველაფერში და ყველასთვის სიმართლე არ ეთქვა, დილით ადრე არ წამომხტარიყო... ჰოდა, პირველი ხუთიანი რომ მიიღო და მასწავლებელმა შეაქო, გაიფიქრა: ეგეც თქვენ, ხომ მოგატყუეთ, ახალი წლის შემდეგ თვალითაც არ დაგენახვებითო.

პირველ ხუთიანს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. ერთ ქებას მეორე, მესამე და მეათე. ერთ თვეში მზეჭაბუკი პიონერთა რიგებში მიიღეს, რაზმის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს და პირველი პიონერული დავალებაც მისცეს — კედლის გაზეთი გამოუშვიო.

ახლოვდებოდა ახალი წელი. 31 დეკემბერიც დადგა. დედამ საგანგებოდ დააკრიალა სახლი, გემრიელი კერძები დაამზადა და გოზინაყის გაკეთებას შეუდგა. მამამ მზეჭაბუკთან ერთად ნაძვისხის მორთვა დაიწყო. მზეჭაბუკს ძალიან უყვარდა ახალი წელი, ნაძვის ხე და გოზინაყის სურნელი, მაგრამ ამ ახალ წელს ძალზე უხალისოდ იქცეოდა.

— ამ ბავშვს მგონი სიცხე აქვს. — შეწუხდა დედა.

მზეჭაბუკი კი იმაზე ფიქრობდა, რა მეშველება, ახალი წლის შემდეგ ხომ სკოლაში აღარ უნდა ვიარო, მე ეკი ისე ძალიან შემიყვარდა წიგნები და მასწავლებელი, უიმათოდ როგორ გავძლოო. მზემ ხომ უთხრა, მერე მე ვიციო. ჰოდა, მზემ იცის. ვაითუ სულაც აღარ ჰკითხოს მზეჭაბუკს და თავისით დააშოროს სკოლას, მართლაც მიართვას მზეჭაბუკს ასეთი სასტიკი საახალწლო საჩუქარი.

— მამა, ახალ წელს მზე იქნება?

— მზე? — შეფიქრიანდა მამა, — მზე ზამთარში იშვიათად ჩნდება. ისე კი, თუ ნამდვილი მზე გინდა, გაზაფხულამდე უნდა მოითმინო.

არა უშავს, გაზაფხულამდე დიდი დროა და იქნებ მზემაც გადაიფიქროს თავისი სასწაულიო, — თავი დაიმშვიდა მზეჭაბუკმა და ახალი წლის მობრძანებას ძველებური სიხარულით დაელოდა.

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოსტ და ბვანცა

ფანტაზიანული

მხატვარი – გია ღაფაური

ვაიმე,
ფულის ჩრეხელები...
10

11

ჰა-ჰა-ჰა!
ეს საღმო
გაეკეთა!
12

13

14

15

ვაი,
ფეკავი!
16

17

18

19

ეხა, ჩვენ ცოცა
უფრო მოგვწონს.
ბოცო, გვანცა, წამოდით,
თხილამურებით
ვისხიალოთ!
20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი მიხალკოვი

საახალწლო ამბავი

ტყეში, მეტყევის სახლის შორიახლოს პატარა ნაძვი იზრდებოდა. უფროსი ხეები— ფიჭვები და ნაძვები შორიდან უცქერდნენ და მისი მშვენიერებით ვერ ძღებოდნენ— ისეთი ლამაზი იყო.

პატარა ნაძვი ისევე იზრდებოდა, როგორც მისი ასაკის სხვა ნაძვები—ზაფხულში მას წვიმები რწყავდნენ, ზამთარში ათოვდა, გაზაფხულზე მზე ათბობდა, ქუხილის დროს კი აკანკალებდა.

მის გარშემო ყველაფერი ტყისთვის ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა. მინდვრის თაგუნები დარბოდნენ, მუმლები და ჭიანჭველები ფუსფუსებდნენ და ირეოდნენ, ჩიტები დაფრინავდნენ. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ნაძვმა ნამდვილი კურდღელიც გაიცნო, რომელმაც ერთი ღამე მის ტოტებქვეშ გაათენა და მიუხედავად იმისა, რომ მდელოზე იგი მარტოდმარტო იზრდებოდა, თავს ობლად არ გრძნობდა...

ერთხელ, ზაფხულში საიდანღაც უცნობი ყვავი მოფრინდა. დიდხანს არ უფიქრია, პატარა ნაძვის კენწეროზე ჩამოჯდა და ქანაობა დაიწყო.

— ძალიან გთხოვ, ნუ ქანაობ ჩემს კენწეროზე! — ზრდილობიანად სთხოვა ნაძვმა, — კენწერო არ მომამტვრიო.

— რაში გჭირდება ეგ შენი კენწერო, — უხეშად დასჩხავლა ყვავმა, — საახალწლოდ მაინც მოგჭრიან.

— ვინ მომჭრის? რატომ? — წაიჩურჩულა ნაძვმა.

— ვისაც მოუნდება, ის მოგჭრის! — უპასუხა ყვავმა, — შენ რა, არ იცი, რომ საახალწლოდ ადამიანები სწორედ შენნაირებისათვის მოდიან ტყეში? შენ კი ყველას დასანახავად იზრდები...

— კი მაგრამ, მე ამ ადგილას პირველი წელი არ არის, რაც ვდგევარ, ჩემთვის კი ხელი არავის უხლია. — გაუბედავად შეეპასუხა ნაძვი.

— ჯერ თუ არ უხლიათ, გახლებენ. — უთხრა ყვავმა და გაფრინდა.

შიშსა და მღელვარებაში გაატარა ნაძვმა ზა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფხული და შემოდგომა. როცა თოვლი წამოვიდა, მაშინ კი სულ დაკარგა მოსვენება. ხომ ვერ გაიქცეოდა, რომ თავისნაირ ნაძვებს შორის ჩამალულიყო და ჩაკარგულიყო.

დეკემბერში ისეთი თოვლი დადო, რომ სიმძიმისგან უფროს ხეებსაც კი ატყდებოდათ ტოტები. პატარა ნაძვი კენწეროამდე სულ თოვლმა დაფარა.

— ასე ჯობს კიდეც, — გადაწყვიტა მან, — ახლა ვეღარავინ შემნიშნავს.

დადგა წელიწადის ბოლო დღე — ოცდათერთმეტი დეკემბერი.

— ნეტავ ეს დღე გადამატანია, — ვერც კი მოასწრო ნაძვმა გაფიქრება, რომ დაინახა, როგორ უახლოვდებოდა ადამიანი. იგი პირდაპირ მისკენ მოაბიჯებდა. ნაძვთან რომ მოვიდა, კენწეროში ხელი ჩაავლო და მაგრად შეანჯღრია, ნაძვის ტოტებზე დადებული მძიმე თოვლი გარშემო მიმოიფანტა, ნაძვი გაიმართა და ფუშფუშა ტოტები გაშალა.

— რა სწორად ამოგარჩიე! — თქვა ადამიანმა და გაიღიმა. მას არც კი შეუნიშნავს, როგორ დაკარგა ამ სიტყვების გამგონე ნაძვმა გონება.

როცა ნაძვი გონს მოვიდა, ჯერ ვერაფერს მიხვდა. ის ცოცხალი იყო და თავის ადგილას იდგა. ტოტებზე მინის მსუბუქი ბურთები ეკიდა; თვითონ ერთიანად წვრილ, ვერცხლისფერ ძაფებში იყო გახვეული, კენწეროს კი დიდი ოქროსფერი ვარსკვლავი უმშვენებდა...

დილით, ახალი წლის პირველ დღეს, მეტყევის სახლიდან მისი შვილები გამოვიდნენ — და და ძმა. დადგნენ თხილამურებზე და ნაძვისკენ გაეშურნენ. სახლიდან მეტყევეც გამოვიდა და ბავშვებს გაჰყვა. როცა სამივენი ნაძვთან მივიდნენ, ბიჭმა თქვა:

— რა კარგად მოიფიქრე, მამა, ეს ჩვენი საახალწლო ნაძვის ხე იქნებ, ყოველ ახალ წელს ასე მოვრთავთ!

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. მეტყევე დიდი ხანია გარდაიცვალა, მისი შვილები უკვე დიდები არიან და ქალაქში ცხოვრობენ. ტყეში კი, შუა მდელოზე, ახალი მეტყევის სახლის პირდაპირ მაღალი, ტანადი ნაძვი აშოლტილა და ყოველ ახალ წელს თავის ბავშვობას იგონებს.

თარგმანი ქეთევან დუმბაძისა

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986

იანვარი

ორშ.		6	13	20	27
სამშ.		7	14	21	28
ოთხ.	1	8	15	22	29
ხუთშ.	2	9	16	23	30
პარ.	3	10	17	24	31
შაბ.	4	11	18	25	
კვ.	5	12	19	26	

თებერვალი

	3	10	17	24
	4	11	18	25
	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	
2	9	16	23	

მარტი

ორშ.		3	10	17	24	31
სამშ.		4	11	18	25	
ოთხ.		5	12	19	26	
ხუთშ		6	13	20	27	
პარ.		7	14	21	28	
შაბ.	1	8	15	22	29	
კვ.	2	9	16	23	30	

აპრილი

		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	

მაისი

ორშ.		5	12	19	26
სამშ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთშ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	31
კვ.	4	11	18	25	

ივნისი

	2	9	16	23	30
	3	10	17	24	
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	

ივლისი

ორშ.		7	14	21	28
სამშ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთშ	3	10	17	24	31
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

აგვისტო

		4	11	18	25
		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31

სექტემბერი

ორშ.	1	8	15	22	29
სამშ.	2	9	16	23	30
ოთხ.	3	10	17	24	
ხუთშ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

ოქტომბერი

		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	

ნოემბერი

ორშ.		3	10	17	24
სამშ.		4	11	18	25
ოთხ.		5	12	19	26
ხუთშ.		6	13	20	27
პარ.		7	14	21	28
შაბ.	1	8	15	22	29
კვ.	2	9	16	23	30

დეკემბერი

1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	
3	10	17	24	31	
4	11	18	25		
5	12	19	26		
6	13	20	27		
7	14	21	28		

ვხატავარ ნანა ბურღულია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკვი ჭიჭინაძე

თოვლის ქალაქში

მამიკომ და ლევანმა
გაიხარეს ამ დილით:
მოიარეს ქალაქი
თეთრად გადაბარდნილი.
მამას თოვლი ასეთი
ნანახი აქვს უწინაც.
დღეს კი ლევანს თვალები
სიხარულით უბრწყინავს.
— აბა, სად ვართ, თუ იცი?—
ჰკითხა უცებ მამამ შვილს.
ბიჭმა დინჯად მიუგო:
—სად და, თოვლის ქალაქში!—
ბრწყინავს თოვლის ქალაქი,
თვალსა და გულს ახარებს.
ლევანიკო ხელს უქნევს
სახლებს, ხეებს, მანქანებს.
ხან მაღლა მოფარფატე
თოვლის პეპლებს შეჰყურებს,
ხან—ჭადრებზე შეყუჟულ
ფრთებდაფიფქულ ბეღურებს.
თოვლისაა თითქოსდა
ირგვლივ სუყველაფერი.
მამა-შვილი სიცილით
მიჰყვებიან ქვაფენილს.
— იცი, მამი!—ლევანი
თოვლში ლაღად მიხტუნავს,
— შენ ხარ თოვლის ბაბუა,
მე კი—თოვლის ბიჭუნა.

მხატვარი თამარ ფხიკიძე

ილია ჭავჭავაძე
150

გივი გეგეჭკორი

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

დედა. დები და ძმები. დედისა და მამის სიკვდილი

ილია ჭავჭავაძის დედა, მარიამი, თბილისელი იყო, თბილისში დასახლებული კახელი აზნაურის ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული. იგი სახით ლამაზი და ტანად სრული ქალი ყოფილა. ილია რომ დაბადებულა, მარიამს ცხრამეტი წელი შესრულებია.

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ინახება ილიას დედის ნაქონი სპილოს ძვლის ოქროს ზარნიშიანი მარაო. ეტყობა, ამ მარაოს ილია სათუთად ინახავდა. მის დანახვაზე ალბათ ის ნეტარი დრო ახსენდებოდა, როცა დედა ალერსიანი ხელებით ეფერებოდა და ამ მარაოთი ოფლით დაცვარულ სახეს ინიავებდა.

ლექსში „სიზმარი“ — ილია ბავშვობის სწორედ ამ ნეტარ დროზე ლაპარაკობს. მას ესიზმრება სოფელი ყვარელი და მისი მთა-ბარი ისე, როგორც მის ბავშვობაში იყო. ესიზმრება სახლი, სადაც მან თვალი პირველად აახილა. იქ ტახტზე ზის ქალი, რომელიც ცრემლს ღვრის და მის სახელს ახსენებს... ამ ლექსიდან ჩანს, რომ ილიას სიზმრად თუ ცხადად მუდამ თვალწინ ედგა მშობლიური ყვარელი და საყვარელი დედა. „ნანა, შვილო, ნანინა! ნეტა რამ შეგაშინა? რაზედ შეკრთი, მტირალნი რისთვის მომაპყარ თვალნი?“. ალბათ სწორედ ასე უმღეროდა სამასწლიანი კაკლის ჩრდილში დარწეულ აკვანში მწოლიარე ყრმას ალერსიანი მარიამი. სანამ ყმაწვილი ხარ, იძინე, შვილო, დრო მოვა და ყრმობის სიზმრები ბრძოლაზე შეგეცვლება. მე ხომ მამულისთვის გზრდი, მამულისთვის გაწოვებ ძუძუს, „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!..“ აი, ამას ეუბნებოდა დედა ყრმას სიტყვით, რომ ყრმას მერე ეს სიტყვა საქმით აესრულებინა...

ილია რომ სამასწლიანი კაკლის ჩრდილში ბევრჯერ წოლილა, აკვანში თუ უაკვნოდ, ეს ძალიან კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად ჩანს მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივში“. აი, როგორ აგვიწერს ილია კაკლის ხეს და მის ქვეშ წამოწოლილ გიორგის: „დერეფნის წინ, ერთ ოცი-ოდ ნაბიჯზე, უშველებელი კაკალი სდგას, რტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალებული, თითქოს განგებ შემოკვეცილიაო... გიორგის, კაკლის ქვეშ მწოლარეს თავისებურად ამოედო თავ-ქვეშ ორივ ხელები, პირაღმა იწვა ფეხებ-გაშოტილი და კაკლის მაღალ შტოებს შესცქეროდა. ყუისავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქოს ტოლ-ამხანაგებს ეძებენო ხელი-ხელ გადასაბმელად. ციაგ-მკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოოდ გადეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქოს დედა იწვევს ახლად გაღვიძებულ ბალღებს კალთაში გასაგორებლადო...“

ილიას ხუთი და-ძმა ჰყოლია. უმცროსი ძმა, სვიმონი, მცირეწლოვანი გარდაცვლილა. ამიტომაა, რომ ილია მოთხრობაში „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი, როცა იხსენებს იმ ბედნიერ დროს, მისიანები ყველანი ცოცხლები რომ იყვნენ, მასა და მის დაძმებს მშობლებიც თავს დასტრიალებდნენ და ყვარელში ყველანი გულის ფანცქალით ახალი წლის მალე გათენებას ნატრობდნენ, ამბობს: დედ-მამას ბღარტებივით გარს ვეხვიენით ორნი დანი და სამნი ძმანიო. ეს იყვნენ კონსტანტინე, ნინო, თვითონ ილია, ელისაბედი და თეიმურაზი.

აი, როგორ ხვდებოდნენ ყვარელში ახალ წელს გრიგოლ და მარიამ ჭავჭავაძეების ბავშვები:

„იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზს ჰზელდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა, მოდით, პირი ჩაიტკბარუნეთო. იქით დედა-ჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდეო, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები ამაებ-შორის დავძვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრებდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზე უფროსი ჩვენში თორმეტ წელს არ იყო გადაცილებული...“

ყველაზე უფროსი კი ილიას და-ძმებში კონსტანტინე იყო, ილიაზე ხუთი წლით უფროსი. ამ მოთხრობაში ილია იმდროინდელ ამბავს იხსენებს, როცა თვითონ ჯერ შვიდი წლისა არც არის, ელისაბედი ხუთი წლისაა, ხოლო თეიმურაზი — ოთხისა.

თერთმეტი წლისა ყოფილა ილია, დედა სახადით რომ გარდაიცვალა. ილიას და — ელისაბედი იგონებს: „მახსოვს, ჩვენ, ბავშვები ყველანი დაგვაშორეს დედას, როცა იგი ავად იყო“.

ოთარაანთ ქვრივის ხასიათის დასახატავად ილიას თავისი დედის, მარიამის ხასიათიც გამოუყენებია. ილიას დედასავით ოთარაანთ ქვრივმა შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცის. თავის დღეში არ გაუჯავრდება, თუმცა ხშირად კი სტუქსავს. გიორგი დედას სიტყვას არ უბრუნებს. ეტყობა, ვერც პატარა ილია უბედავდა დედას სიტყვის შებრუნებას და გულში ამას ამბობდა ხოლმე: „ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზე ახიაო...“

ილიას მამა — სიტყვამოსწრებული და ხუმრობისმოყვარული კაცი, ცოლის გარდაცვალების შემდეგ გულჩათხრობილი გამხდარა. თვით ილია მოგვითხრობს: რამდენიმე დღე ისე გავიდოდა, ხმას არ ამოიღებდა, კოპებშეკრული დადიოდაო. ილია 15 წლისა ყოფილა, მამა რომ გარდაიცვალა, ილიას და — ელისაბედი იგონებს: მამაჩემმა კიბეზე ასვლის დროს ფეხი იტკინა, იარა გაუმიზეზდა და გარდაიცვალაო.

„ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილში“ ილია ტკბილი სიზმარივით იხსენებს ბავშვობის ახალ წელს, მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დედ-მამა დამეხოცა, ორი ძმა გარდამეცვალა და ერთი დაცაო...

„როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა, ფუნჩულა და-ძმებს შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას, მესმის მტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედი-ჩემისა, მამი-ჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია...“

ილია ჭავჭავაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა სალუქვაძე

ვიწყებთ მამუკა სალუქვაძის პოემა „თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალის“ ბეჭდვას. ჟაკოს უცნაური თავგადასავლები, ჩვენი ფიქრით, ძალიან ბევრ რამეს საგულისხმოს ასწავლის ბავშვებს, გააცნობს, ჯერ-ერთი, XX საუკუნის პირველი ოცწლეულის უმთავრეს ისტორიულ, პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს, დააინტერესებს გეოგრაფიით, სხვადასხვა ხალხის ენებით, მიაწოდებს ინფორმაციას ცოდნის მრავალი სფეროდან; ზოგჯერ გააცინებს, ზოგჯერ დააფიქრებს, ჭკუას ასწავლის, სიკეთეს და სათნოებას უქადაგებს, ბოროტებას და მომხვეჭელობას დაგმობს. აბა დავიწყოთ! ვნახოთ, რა გადახდა თავს თუთიყუშ ჟაკოს 1900-დან 1920 წლამდე.

იმ ღამით ალბათ მთელს პლანეტაზე
იყო ნამდვილი ზეიმი, რადგან
თორმეტ საათზე ახალი წელი
და საუკუნეც ახალი დადგა.

იმ ღამით, კუნძულ ფერნანდო პოზე,
ნავსადგურ სანტა ისაბელადან
დიდხანს ისმოდა თოფების გრგვინვა
და ცა ათასფერ ცეცხლით ელავდა.

როდესაც ზუსტად გახდა თორმეტი
და ზარბაზანმაც როცა იჭექა,
თუთიყუშ ჯან-პოლ ჟაკოს ოჯახში
პატარა ჟაკო გამოიჩეკა.

გახარებულმა დედა — ჟაკლინამ
ბარტყს არც აცალა თვალის ახელა
და პაპა ჟაკის პატივსაცემად
ჟაკი დაარქვა მასაც სახელად.

— მადლობა გამჩენს! — აღმოხდა მამას;
მართლაც დიდი ხნის აუხდა ნატვრა
და ღვინის პალმის ნაყოფის ქერქი
იმდენი ჭამა, რომ ძლიერ დათვრა.

— რა ფუმფულაა, რა ღუნღულაა,
რა ლამაზია, ვისა ჰგავს ნეტა?!
გაოცებული, აღტაცებული
ეკითხებოდა თავის თავს დედა.

ჟაკს მშობლებისგან განასხვავებდით,
არც რუხი იყო, არც ნაცრისფერი,
იყო მამაზე ოდნავ მომწვანო
და დედამისზე ბევრად ცისფერი,

სწავლის წყურვილით და სიბეჯითით
სხვა თუთიყუშებს სულაც არ ჰგავდა,
ცოდნას წყალივით ეწაფებოდა
და უქმად წამსაც კი არ ჰკარგავდა.

— რა ჭკვიანია, რა ნიჭიერი,
ყველაფერს სწავლობს სწრაფად, ადვილად —
და ყველა ერთხმად იმეორებდა:
ვუნდერჩიტია ბარტყი ნამდვილად.

ჟაკს სრულებითაც არ უწვალია,
ისე ისწავლა ფრენა და სტვენა
და რაც ყველაზე საოცარია,
ერთად აიდგა ფეხი და ენა.

ესპანურადაც თქვა ოთხი სიტყვა,
როდესაც ზუსტად ოთხი თვის გახდა:
— ბუენა ნოჩე, ასტა მანიანა[1] —
წინადადება ამგვარი გახლდათ.

მაგრამ მშობლები ძლიერ გაუწყრნენ,
იმის ნაცვლად რომ გაჰხარებოდათ
და მკაცრად უთხრეს, რომ მომავალში
ქალაქს ახლოს არ გაჰკარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ჟაკოს ქალაქში ფრენას
განსაკუთრებით მამა უშლიდა,
რომელსაც ვილაც კონკისტადორმა[2]
მშობლები ერთ დღეს ამოუწყვიტა.

დედაც ყოველდღე უჩიჩინებდა:
ადამიანებს უნდა ერიდო,
სათოფეზეც კი არ გაეკარო,
ჩემს თავს გაფიცებ, ჩემო კერიდო[3].

ჟაკმა უფროსებს არ დაუჯერა,
რადგანაც იყო მეტად თავნება
და დღენიადაგ ქალაქში ფრენას
თავი არა და არ დაანება.

ქალაქში იგი ყველას იცნობდა,
ძაღლსა თუ კატას, გამვლელ-გამომვლელს.
და თუკი ცუდ კაცს გადეყრებოდა,
ფიქრობდა: ქვეყნად კარგს რა გამოლევს.

— სე ლა ვი,[4] ძმაო, ეს ცხოვრებაა,
ლო სე მი ბიტა[5], — ჩიტი ფიქრობდა,
დრო კი, თვალსა და ფრთას შუა უმალ
სადღაც ქრებოდა, სადღაც მიჰქროდა.

იყო დღეები ლაღი, ნათელი;
იყო დღეები მძიმე და ძნელი,
ასე თუ ისე, სწავლას დაეთმო
ჟაკოს ცხოვრების პირველი წელი.

1. ბუენა ნოჩე, ასტა მანიანა (ესპანური) — ღამე მშვიდობისა, ხვალ დილამდე.
2. კონკისტადორი — ესპანელი დამპყრობელი.
3. კერიდო (ესპანური) — ძვირფასო.
4. სე ლა ვი (ფრანგული) — ეს ცხოვრებაა.
5. ლო სე მი ბიტა (ესპანური) — ეს მე ვიცი, ჩემო სიცოცხლევ.



მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

18807

მხატვარი ნანა იოსელიანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღაპრების ასოები

შენ უსათუოდ იცნობ ამ ზღაპრის გმირებს. თუ ამ გმირების სახელებს სწორად გაიხსენებ და შესაბამის უჯრედში ჩასვამ მათ პირველ, ან ნახატზე მინიშნებულ ასოს, წაიკითხავ ზღაპრის მთავარი გმირის სახელს.

ჯადოსნურ სკივრამდე მისაღწევად მოხუცმა ისე უნდა გაიაროს ლაბირინთი, რომ ციფრების ჯამმა 45 შეადგინოს.

რომელი ნატეხი უნდა მოარგოთ, რომ გატეხილი თეფში გამრთელდეს?

ДИЛА

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 4. 12. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 12. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა 2579.

ყდაზე ნახატი ლალი ლომთაძისა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2579.

ფასი 20 კაპ.

6 /31

ინდექსი 76055

საახალწლო

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილად დამიბერდით.

მეკვლე.

საახალწლო თაიგული

მუვიდოგაში

საახალწლო საჩუქარი ნაცარქექიას

მხიარული არდადეგები

ნაძვის ხეზე დაკაბიჟეს

ახალი თაოგბა

თოვლის კაცის სტუმრობა.